

№ 4934/01-8

"20" _____ 08 _____ 2024

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს

ბ-ნ კახი ბექაურს
 ბ-ნ ვახტანგ აბაშიძეს
 ქ-ნ ეკატერინე იმედაძეს
 ბ-ნ ივანე მახარაძეს
 ქ-ნ ნათია კუკულაძეს

გავეცანით აუქციონების გამოცხადების თაობაზე კომისიის მიერ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილების პროექტს და თანდართულ დოკუმენტებს, მათ შორის კომისიის დაკვეთით კომპანია შპს „იუაი“-ის მიერ (700 მჰც, 800 მჰც, 2100 მჰც, 2600 მჰც, 3400-3800 მჰც დიაპაზონებში) სიხშირული რესურსის საფასურის ბენჩმარკინგის მეთოდით გაანგარიშების შედეგების მოკლე დოკუმენტს, რომელიც იმდენად მწირ ინფორმაციას შეიცავს, რომ შეუძლებელია მისი ანალიზი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია და კომისიას არ აქვს განმარტებული და დასაბუთებული, თუ რატომ, რა საფუძვლით და რა მიზნით მოახდინა კომისიამ 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილი აუქციონებისთვის სიხშირული რესურსის საწყისი საფასურის გადაანგარიშება ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით, რომელმაც ხელოვნურად გამოიწვია 5G სიხშირული რესურსის საფასურის 500%-იანი ზრდა; აღსანიშნავია, რომ 2023 წლის აუქციონში სიხშირული რესურსის საწყისი საფასური გაანგარიშებული იყო კომპანია ერნსტ&იანგის (პოლონეთის ოფისის) მიერ, ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიით, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით უპირატესობა ენიჭება.

სიხშირული დიაპაზონი	2023 წელს ჩატარებულ აუქციონზე 1 მჰც რესურსის ფასი (ლარი)	2024 წელს დაგეგმილ აუქციონზე 1 მჰც რესურსის ფასი (ლარი)	ფასის ზრდა (%)
700 მჰც	363,000	2,062,560	468%
3400 -3700 მჰც	52,000	278,133	435%
2600 მჰც	27,000	183,429	579%

მ-24-6/3614
 20.08.2024
 3ფურც.

როგორც თქვენთვის ცნობილია „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბერის №13 დადგენილების მე-9 (2) მუხლი პირდაპირ განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხდება ორივე (ბენმარკინგის და ბიზნესმოდელირების) მეთოდოლოგიით, საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ბიზნესმოდელირების მეთოდოლოგიას.

საქართველოს კანონმდებლობით, ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიას სწორედ იმიტომ ენიჭება უპირატესობა, რომ აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა საქართველოს რეალურ მონაცემებზე (მათ შორის, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და დარგის ფინანსურ მაჩვენებლებზე) დაყრდნობით შეფასდეს სიხშირული რესურსის საფასური, რასაც ბენმარკინგის მეთოდოლოგია ბუნებრივია ვერ უზრუნველყოფს.

როგორც იცით, დღეს საქართველოში, სიხშირეთა ეროვნული გეგმით 700/800/900/2100/1400/2600/3600მჰც დიაპაზონებში მობილური მომსახურებისათვის ხელმისაწვდომია 799 მჰც რესურსი, რაც გაცილებით მეტია, ჯამურად სამივე მობილური ოპერატორის სარგებლობაში არსებულ რესურსზე (460 მჰც) და რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ეფექტურად და სწრაფად დაინერგოს და განვითარდეს ერთმანეთის კონკურენტი 5G ქსელები და მომსახურებები; ხოლო ახალ 26 გჰც დიაპაზონში 5G ქსელებისთვის საქართველოშიც დამატებით განაწილებულია/ხელმისაწვდომია 3000 მჰც სიხშირული რესურსი.

შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში აუთვისებელი მობილური სიხშირული რესურსის ოდენობას, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება კომისიის მიდგომა 2024 წელს დაგეგმილი აუქციონების ფარგლებში, 2023 წელთან შედარებით 500%-ით გააძვიროს ლიცენზიების საფასური, რომლის შედეგადაც 2023 წლის აუქციონზე გამოტანილი ძირითადი კომბინირებული ლოტის ფასი (იდენტური პირობებითა და ვალდებულებებით) 6,230,000-დან 34,532,250 ლარამდე გაიზარდა.

მივიჩნევთ, რომ ამგვარი მიდგომა ხელოვნურად შეაფერხებს ქვეყანაში ერთმანეთის კონკურენტი მე-5 თაობის ქსელების დანერგვას და ხელს შეუშლის მობილურ ქსელებში მრავალმილიონიანი ინვესტიციების განხორციელებას, რაც თავის მხრივ გარდა იმისა, რომ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის სტრატეგიასთან, ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

ასევე, თუ კომისია თვლის, რომ 5G სიხშირული რესურსის საწყისი ფასი 500%-ით მეტია მის მირ 2023 წლის აუქციონზე განსაზღვრულ საწყის საფასურზე, გაუგებარია რა ნორმაზე დაყრდნობით და/ან რა არგუმენტაციის საფუძველზე მოახდინა კომისიამ სულ რაღაც 1 წლის წინ იდენტური ლოტების აუქციონზე გამოტანა 5-ჯერ ნაკლებ ფასად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილქნეტი მიესალმება კომისიის მიერ 2024 წლის აუქციონში დაგეგმილ მიდგომას, რომელიც შესაბამისობაშია ევროპულ პრაქტიკასთან და საშუალებას აძლევს ოპერატორებს ვირტუალური ოპერატორების დაშვების ვალდებულებით ან მის გარეშე შეიძინონ სიხშირული ლოტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

ა) განგვიმარტოთ რა საფუძვლით და რა მიზნით განახორციელა კომისიამ 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილი აუქციონებისთვის რადიოსიხშირული რესურსის საწყისი საფასურის გადაანგარიშება ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით;

ბ) მოგვაწოდოთ კომისიის დაკვეთით კომპანია შპს „იუაი“-ის მიერ (700 მჰც, 800 მჰც, 2100 მჰც, 2600 მჰც, 3400-3800 მჰც დიაპაზონებში) სიხშირული რესურსის საფასურის ბენჩმარკინგის მეთოდით გაანგარიშების სრული დოკუმენტი და კომისიასა და შპს „იუაი“-ის შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

გ) გაახანგრძლივოთ საჯარო კონსულტაციისათვის განსაზღვრული ვადა მინიმუმ სექტემბრის ბოლომდე, რათა შევძლოთ ჩვენი არგუმენტირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა. ამგვარ შემჭიდროვებულ ვადებში და ზაფხულის პერიოდის გათვალისწინებით შეუძლებელია ევროპელი ექსპერტებისაგან საკონსულტაციო მომსახურების მიღება.

სილქნეტი მზადაა შეხვდეს კომისიის წარმომადგენლებს და სამუშაო ფორმატში განიხილოს ყველა ზემოაღნიშნული საკითხი.

პარივისცემით,

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი

